ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4617854

ნომერი: AR1695389

თარიღი : 26.07.2019

გაცემის თარიღი : 05.08.2019

გაცნობის თარიღი : 08.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, კრისტიან სტივენის ქუჩა, N 16ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა კვიკვინია პ/ნ 58001005154
- თბილისი, მოსკოვის გამზირი 14ა, ბინა 154

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 26

ივლისს NAR1695389 განცხადებით მომართა თეონა კვიკვინიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა, N16ა-ში (საკადასტრო კოდი №01.72.14.039.674), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 6 მაისიდან 2020 წლის 6 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 3381.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3384.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 699.0 კვ.მ-ის ნაცვლად 700.2 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობი 5338.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5342.1 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გეგმები.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019594275 მომზადების თარიღი: 29/07/2019 16:25:38) მიხედვით, N01.72.14.039.674 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მეგა დეველოპმენტი“ (405206708). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B17051832, მომზადების თარიღი: 11/05/2017 15:14:47), შპს „მეგა დეველოპმენტი“-ს (405206708) დირექტორს წარმოადგენს თეონა კვიკვინია (პ/ნ: 58001005154).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 3384.0 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 700.2 კვ.მ, საერთო ფართობი: 5342.1 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებით შეთანხმებული II და IX სართულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 მაისის №4487176 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.